

4
3-82

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ რუდოლის ასული გრიგალაშვილი

კოგნიტური მეტაფორა
ინგლისურ და ქართულ ენებში

10.02.07 – ტიპოლოგიური და შედარებითი
ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2005

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია
აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **მაია ნათაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური ოპონენტები: **მანანა პაიჭაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.04)


გურამ ლებანიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.07)

დისერტაციის დაცვა შედგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P. 10.07. №7 სადისერტაციო
საბჭოს სხდომაზე 2005 წლის 22 ივნისს, 11:00 საათზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1, კორპ. 1,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზი.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში
(0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2)

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 19 მაისს.



სადისერტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფ.

Handwritten signature

რამაზ ქურდაძე

შესავალი

კოგნიტური ლინგვისტიკის ერთ-ერთი მიღწევა არის ე.წ. კოგნიტური მეტაფორის აღმოჩენა ერების ენობრივ ცნობიერებაში. კოგნიტური მეტაფორის კონცეფციის ავტორთა (ჯ. ლეიკოფი და მ. ჯონსონი) აზრით, ამ ტიპის მეტაფორათა კონკრეტული შინაარსი მათი შემქმნელი კულტურის თავისებურების გამომხატველია. „მოცემული კულტურისთვის ყველაზე არსებითი ღირებულებები უშუალო კავშირშია ყველაზე არსებითი ცნებების მეტაფორულ სტრუქტურასთან ენაში“ (G. Lakoff, "Women, Fire and Dangerous Things", p.16). კოგნიტური მეტაფორა, პუმბოლდტის სიტყვას თუ ვიხმართ, ენის გონის ანუ ენაში გამოხატული ერის გონის გამოვლინებას წარმოადგენს. ეროვნული გონის თავისებურება სხვასთან ერთად ენის „შიდა ფორმაში“ ვლინდება. მეტ-ნაკლებად მიღებული და ჩვენთვის დამაჯერებელი შეხედულების მიხედვით, „შიდა ფორმა“ იქმნება იმ „შინაარსებისა“ და მათი მიმართებებისაგან, რომლებიც ერის სულიერ სამყაროს, ერის გონს და ამ გონით ნაკარნახევ „სამყაროს სურათს“ (Weltbild) შეადგენენ. ამიტომ, ჩვენი აზრით, ენის „შიდა ფორმის“ კვლევის ერთ-ერთი საიმედო გზა არის, ერის აღქმა-აზროვნებისთვის დამახასიათებელი და მის ენაში გამოვლენილი კოგნიტური მეტაფორის კვლევა და ამ თვალსაზრისით კონკრეტული ეროვნული ენების შეპირისპირება.

2002

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია შემდეგი გარემოებით: ჯ. ლეიკოფისა და მ. ჯონსონის თეორია ემყარება ინგლისური ენის მასალას, თუმცა, აპრიორივე საფიქრებელია, რომ მათ მიერ დანახული მოვლენა ყველა ენაზე უნდა ვრცელდებოდეს; ამდენად, საინტერესოა, არის თუ არა კოგნიტური მეტაფორა ქართულში და, თუ არის, რა მსგავსება-განსხვავებებია ამ თვალსაზრისით ინგლისურსა და ქართულს შორის.

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს ერთი მხრივ, კოგნიტური მეტაფორის მოვლენის კვლევა და მეორეს მხრივ, ინგლისურ და ქართულ ენებში კოგნიტური მეტაფორების ძიება და მათი რეალიზაციის ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვება.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში ეტაპობრივად დასახული და გადაჭრილია შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. საერთოდ მეტაფორის როგორც აღქმა-აზროვნების ფორმის არსისა და მისი ტიპების გარკვევა და დაზუსტება;
2. კოგნიტური მეტაფორის ლეიკოფისეული თეორიისა და თვით